




სალოგოზო ვერსი



საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

მიმართვა საგარეო მსახურისათვის

თანამშრომლები
საქართველოს ყველა დარმა და მწარე კრილია შიდა ქართულია გახსნილი. მართალია აღსდგა ისტორიული კანონზომიერება, გავაუქმეთ ძალადობით შეკონფიზებული ოლქი, ცხინვალის რაიონი გორს დაუბრუნეთ, ურთისის რაიონი — ქარელს, მაგრამ აღნიშნულ რეგიონში პრობლემები ჯერ კიდევ ბევრი გაქვს, რომელიც სასწრაფოდ მოითხოვს ჩვენს მოხილვას და არა მხოლოდ მორალურ თანადგომას.

ჩვენი დაუღონებელი ყოფა სტიქიამ კიდევ უფრო დაამძიმა. ოცდაცხრა აბრეშის მიწისძვრამ, იმერეთზე და რაჭაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, შიდა ქართლში ასეულობით ბინა დაანგრა და დააზიანა, ხოლო თბუთმეტი ივნისის წყევამ — ათასობით პერი დააკცია.

არც ოთხ ივლისს დაგვიდო სტიქიამ, კიდევ ერთხელ მოგვივლინა განსაცდელი, წინა მიწისძვრებს გადარჩენილი საბოლოოდ გაანადგურა.

რაც უველაზე სავალალოა, დაიღუპნენ ადამიანები.

სვერი, ქემერტი, ძარწეში, კეხვი, ქურთა, ხეივი, ქვემო აზნეთი, კარბი, ქსუისი, დისევი, აწრისხევი, ბელოთი, საცხენეთი, ჭოჯანთ უბანი, ვანათი... აი, არასრული სია იმ სოფლებისა, რომელთა ნაწილი მიწასთან არის გაწორებული...

მეტი ოფრსაც მოვახსენებთ, მართო გორსა და გორის რაიონში, რა თქმა უნდა, იგულისხმება შემორჩენილი ცხინვალის რაიონიც, 4600-ზე მეტი სახლი თავიდანა ახაშენებული და შესაკეთებელი.

მოვეხსენებთ, რომ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხე-კუ-

ნული შევლას მოითხოვს. მეგობრებო, არ შეიძლება საჩხერელი და კეხველი კაცის სატივარი სხვადასხვაგვარად გვაწუხებდეს, მაგრამ შიდა ქართლის გასაჭირი მაინც სხვაა და ამის მიზეზი ყველაზე კარგად ვიცით.

აქაურობას ჩვენ ვაცხადებთ აღმშენებლობითი პროგრამის ნომერ პირველ ობიექტად. მართალია, ურადლებას არ ვაკლებთ სტიქიით დაზარალებულ სოფლებს, განსაკუთრებით სამაჩაბლოს და ცის ქვეშ დარჩენილ მოსახლეობას, პროგრამის განსახორციელებლად ვეებერთელა სამშენებლო კომპლექსია დასაქმებული, მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა რესპუბლიკის ქალაქებში და რაიონებში, ცალკეულმა ორგანიზაციებმა გამოახონ საშუალება და ამოუდგინენ მშენებლებს მხარში.

მეგობრებო, ქულზე კაცის დრო დაგვიდგა, დაზოგობამდე ყველანაირად უნდა შევეცადოთ, რომ არც ერთი ოჯახი ღია ცის ქვეშ არ დაგვრჩეს, ახლა გულგრილობა, მხოლოდ სიტყვით ქაღილი და გულხედავარევა ღალატის ტოლფასია.

ჩვენ პირნათელნი უნდა ვიყოთ გაუთავებელი ომით, წყალდიდობით, მიწისძვრებით შეწუხებული ქართველობის წინაშე, ვინც ამდენი თავსდამტყდარი უბედურების მიუხედავად, მაინც არ მიატოვა მამა-პაპური კერა.

ისინი გმირები არიან, მეგობრებო, გმირობას კი დანახვა და დაფასება უნდა, რასაც, ალბათ, ჩვენი ხაერთო ძალისხმევით ვაკეთებთ კიდევ.

არის კიდევ ერთი საკითხი, რომელიც თანდათან, მტკიცეულ პრობლემად იქცა: გორში, თბილისში, სხვა ქალაქებსა და რაი-

ონებში თავმოყრილია ლტოლვილების დიდი ჯგუფები.

რა თქმა უნდა, ისინი თავისი ნებით არ აყრილან, დაარბიეს, სახლები დაუწვეს, შეურაცხვეს, გამოაქციეს... მათთვის არავის არაფერი დაუწყვედრებია. მთელი საქართველო მათი სამშობლოა, მაგრამ მაინც მძიმეა დიდხანს სხვის კარზე მყოფი ადამიანის ხვედრი... მე არ მინდა ამ ხვედრს შეეჩვიოს ქართველი კაცი, თორემ ჩვენი შრომა წყალში ჩაიყრება.

ამიტომ, ვფიქრობ, ლტოლვილებად მხოლოდ ქალაქ ცხინვალისა და სოფელ გუგაბაურის მოსახლეობა უნდა მივიჩნიოთ, ისიც მხოლოდ ქაღილი და ბავშვები, დანარჩენები კი დროა დაუბრუნდნენ თავ-თავის სოფლებს.

თანამშრომლებო, სამაჩაბლოს ქართული სოფლებიდან ლტოლვილებო, მიხედეთ თქვენ ფუძეს, თორემ, როგორც არაერთხელ მომხდარა, ისევ მოვა ვადამთიელი და ჩვენ კუთვნილს დაეპატრონება.

ღმერთმა ხომ იცის, აღარაფერი დავგვრჩა დასაქარგავ-გახსენი, ამიტომ, სამაჩაბლოში დაბრუნებული თითოეული ოჯახი საქართველოსათვის მტკიცე ციხე-სიმაგრის ტოლფასია.

ცხინვალელი მამაკაცებო: დაბეჭითებით ვთხოვთ, მონაწილეობა მიიღოთ ქართული სოფლების აღდგენა-აღორძინებაში, მამა-პაპული მიწა-წყლის დაცვაში. ხოლო ის, ვინც ამას არ გააკეთებს, მოლატყდ შეირაცხება.

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს ბედი დღეს შიდა ქართლში წუდება.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი.
ზინად გამსახურდია.

პროცესი ა-ნფორმაცია

● ამირ კონ „ზაბაიკალსკი რაიონის“ ჟურნალისტებმა ყველა მასალა უნდა შეუთხმონ... კაზაკთა ატამანს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიათ გაროზგვა, ხოლო გაზეთს კოცონზე დაწვა.

● რუსეთი „დს რესპუბლიკის კომუნისტური ოლდერი, ცნობილი ორთოდოქსი: მარქსისტ-ლენინელი ი. პოლოზკოვი გადადგა თანამდებობიდან. შესაძლოა მისი ეს ნაბიჯი იმანაც გაიყოლო, რომ მან, ბოლოს და ბოლოს, მიიღო ბინა მოსკოვში.

● ციფრების საქალაქო გაზეთ „რუსისკიე პირველი ნომრის გამოსვლაზე თავი ჩამოიხრჩო მისმა რედაქტორმა ვ. დემენტიევმა. როგორც ამბობენ, მიზეზი ის გახდა, რომ ვერაფრით ვერ მოხდა შეთანხმება, ვინ გახსნიდა შესავალი სტატიით გაზეთს — ჩუისკის საქალაქო საბჭო თუ კომპარტიის ჩუისკის საოლქო კომიტეტი.

● ფინეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ შექმნა პოლიციელი სპეციალური ბრიგადები ფინეთში საბჭოთა მათეასთან საბრძოლველად.

● ლიტვა-ბელორუსის საზღვარზე, მდინეიკაში ლიტვის საბაქო პოსტზე ბანდიტური თავდასხმის ერთ-ერთი მსხვერპლი ტენიზე ურთულესი ოპერაციის შედეგად გადაარჩა და, როგორც იუწყებიან, კიდევაც შესძლო გამოძიებულებისთვის ეთქვა რამდენიმე სიტყვა, რომელმაც სწორი მიმართულება მისცა ბიჭებს.



მურმან მიქაბერიძის ნახატი.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის გამგეობის განხილვა

ახლანდელ გაზეთ „ახლოვარდა ივერიელში“ გამოქვეყნდა ანონიმური ავტორთა „დემოკრატია“ რომელიც ამაყად გვამცნობს, რომ პარტიებით დახურულ საქართველოში შეიქმნა კიდევ ერთი ჯგუფი — „ჰელსინკი-91“.

„დემოკრატია“ შემოქმედით მეტად უცნაური გულშემაფრთხილას დასჩემებიათ: დაიწყებით, რომ 1976 წლიდან ჩვენში უკვე მოქმედებს ბატონ ზვიად გამსახურდიას და აწ განსვენებულ მერაბ კოსტავას მიერ დაარსებული ჰელსინკის ჯგუფი (იგივე ჰელსინკის კავშირი). ამ ფაქტისათვის ანგარიშის გაუწევლობა თავისთავად მეტყველებს ანონიმურ შემოქმედთა „კეთილსინდისიერებაზე“, მათს, უკაცრავად პასუხია და, „დემოკრატიაში“ არ მოიქმნება არც ერთი პუნქტი, რასაც ვერ

გნახავდით საქართველოს ჰელსინკის კავშირის პროგრამაში. მამ, რას მიგაწეროთ ახლად გამოცხვარი „ჯგუფის“ ინიციატორთა ახირება? იქნებ ყოველივე მხოლოდ ფანტაზიის სიმშობის ბრალია? წარმოიდგინეთ, პარტივერული მკითხველო, როგორი ვითარება შეიქმნება საქართველოში ყოველწლიურად რომ გაგრძელდეს მსგავსი პრაქტიკა? საფუძვით დასაშვებია 1992 წელს ჩამოყალიბდეს „ჰელსინკი-92“, 1993 წელს „ჰელსინკი-93“ და ასე შემდეგ გაუთავებლად...

თება მიზნით, ჰელსინკის სულისკვეთებით ასე დავიანებულად „ღამუბტულ“ ანონიმურ ავტორებს შევეკითხოთ: კი მაგრამ, მაშინ რატომ არაფერს ამბობდით პოლიტპატიმართა შესახებ, ქართველი დისიდენტები საპურობი-

ლებში რომ იტანებოდნენ, ან ხმას რად არ იმალდებდით იმ დანაშაულებრივი ღვეზისა და არა-ადამიანური შევიწროების გამო, რასაც ისინი განიცდიდნენ? სად იყავით, მაშინ ბატონო ანონიმურო „ჰელსინკელებო“, დემოკრატიული არჩევნების შესაფერისი კანონისათვის რომ იბრძოდა ქართველი ხალხი? თურმე, ნუ იტყვით და ამკამად თქვენი მიზანი ყოფილა „მიღწევა იმისა, რომ საქართველოში არ იყვნენ პოლიტპატიმარები“. იქნებ, აქვე დავგეგმილიდ არსებობენ „პოლიტპატიმარები“... აი აქ უკვე კარგად გამოჩნდა, რომ ღია კარის მტკიცე-ვაზე დაფუძნებულმა თქვენმა „ჯგუფმა“ ველარ შესძლო ნამდვილ ზრახვათა დაფარვა. თქვენი ერთადერთი მიზანია ხალხს მი-

ერ არჩეული ხელისუფლების დისკრედიტაცია და არა ადამიანის უფლებათა დაცვა. ხოლო ამ მიზნის ინსპირატორები, კარგად ვიცით, ვინც ბრძანდებიან. იქნებ, ისიც დაგვეხსენებინათ, რას გულსხმობთ ადამიანის უფლებათა დაცვაში — „კანონიერი ქურდებისა“ და „მხედრონის“ დაცვას ხომ არა?

მიუხედავად იმისა, რომ აცხადებთ, ჩვენი ჯგუფი „არაპოლიტიკური ორგანიზაციაა“, პოლიტიკანობის ბაცილა ერთობ ბლოკირებულია. ასე რომ არ იყოს და თქვენ მართლაც კეთილშობილი მიზნები გამოძრავებდეთ, მხარში ამოუდგებოდით ჩვენი ერთადერთი მოძრაობის ავანგარდს — საქართველოს ჰელსინკის კავშირს.

მაგრამ, როგორც ვხედავთ, საპირისპირო გზას დადგომიხართ, რამეთუ მარტოოდენ უსუსური ამბიციების ამარა შედგომიხართ „ადამიანის უფლებათა დაცვის“ საშუალო საჭმელს. ნათქვამია, „არა შეუჭდა მწვერი ხესა, არა აფო გვარი მისით“ — რაც აქამდეც არ დაგიცავთ, რისთვისაც, როგორც იტყვიან, თითი თითზე არ დაგიკარებიათ, ვერც ახლა დაიცავთ. ამგვარი ტვირთის ზიდვა ერთობ დაგვიანებით გადაიწყვეტიათ. „დაგვიანება, მაგრამ ასეთი? დაგვიანება, მაგრამ ამდენ ხნით?“ — იტყვოდა გალაკტიონი თქვენი დავიანება კი, მართლაც კანონზომიერია. იქნებ კეთილი ინებოთ და სხვა, თქვენთვის უფრო შესაფერისი სახელით მოინათლოთ.

ქალაქის დეფიციტის გამო ჩვენი დეკანდელი გაზეთი
8-ის ნაცვლად, 4.33პრდინია.

პასუხად გაცემს ნუგზარ წერეთელს

1988 წლიდან ახმეტაში ფუნქციონირებს სახალხო უნივერსიტეტი. ჩვენი რუსთაველის საზოგადოების, მოვლიანობის კი საზოგადოება „ცოდნის“ ეგიდით, ერთი მხრივ, აბიტურიენტთა მოძღვრებით სურვილის და, მეორე მხრივ, ჩვენი გამოუცდელი წყალობით, თანდათანობით ჩვეულებრივი სახალხო უნივერსიტეტი გადაიზარდა ფასიანი სწავლების უმაღლესი ტიპის სასწავლო დაწესებულებად. მინდა თქვენი გახუროს საზოგადოებით ვადაარო, რომ ჩვენს მიერ დაწესებული იქნა შეცდომები. განსაკუთრებული სინანულით აღვნიშნავ აქციას, რომელიც მოეწყო საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას ახმეტაში ჩამოსვლის დროს. საერთო ქართული პრობლემების ნაცვლად, ჩვენ ერის ღირსების უფროსად გადავიტანეთ მეორეხარისხოვანი საკითხები. ამისათვის გულწრფელად ვთხოვთ პატივს ბატონ ზვიად გამსახურდიას. ასევე გვინდა მოვუბოდიშოთ უწინაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების კომისიას, პირადად დეპუტატ დოვარდ ტუხაშვილს. ამჯერად, ჩვენი პროგრამები გასწორებულია შესაბამისი წინების თანახმად და მომავალში არავითარ დარღვევას აღარ დავუშვებთ, ამასთან, გთხოვთ, გამოგვიკვეყნოთ ეს წერილი.

პატივისცემით დიმიტრი პარფოვილი

მიმდინარე წლის 15 ივნისს გამოვიყენე „ახალგაზრდა ივერიელი“ გამოკვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარის, ბატონ ნუგზარ წერეთლის წერილი სთავაზობს „წინასწარ გამიხილო სტენოგრაფია“. ბატონ ნუგზარ! შევეცდები დავამტკიცო, რომ თქვენი წერილი არასწორია და ტენდენციური. მართალი ბრძანდებით, როდესაც აქედან, რომ ახმეტის სახალხო უნივერსიტეტმა გამოთქვა სურვილი შეესულიყო საზოგადოება „ცოდნის“ შემადგენლობაში. ცხადია, მე, როგორც ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი, წინადადებით უნდა შემოვსულიყავი თქვენთან. ასეც მოხდა, მოვედი კაბინეტში, თქვენ თავაზიანად მიმიღეთ, ვერაფერს ვიტყვი, გულიანად მომიხმინეთ და დამეთანხმეთ. ასევე გულიანად უნდადეთ ის იურიდიული დოკუმენტაცია, რომლის საწინააღმდეგო მახეს ახლა თვითონვე აგებთ. ხომ არ დავაგვიწყდათ, ჩვენი წერილი თქვენი რუსთაველით რომ გამოატანეთ საზოგადოება „ცოდნის“ პირველ სართულზე, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ „ქალთა საზოგადოებაში“, განათლების სამინისტროს სახალხო უნივერსიტეტების ლაბორატორიაში რომ თანამშრომლობენ. ცხადია, უფროსის მიერ გავზავნილი კაცის როგორ შეგხედებოდნენ ხელკვეთიანი, თქვენ სასწრაფოდ გაიტანეთ ჩვენი საკითხი საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პრეზიდენტის გაფართოებული ბიუროს სხდომაზე და ისე დამატკიცეთ ახმეტის მრავალპროფილიანი სახალხო უნივერსიტეტის წესდება, გაეცით განკარგულება საქართველოს ბინსოცბაის ახმეტის გაყოფილებაში ანგარიშის განხილვაზე, ხელი მოაწერეთ ორ პირ ფაქსიმილიურად და დამატკიცეთ რექტორად, რომ მე არც კი დავსწრებივარ ამ ცერემონიაზე, რომელსაც თქვენ თავმჯდომარეობით (1990 წლის 4 მაისი, ოქმი № 36).

ბატონ ნუგზარ, გაიხსენეთ, როდესაც შემოგთავაზებთ, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ახლრია აფაქიძე ავირჩიოთ ახმეტის უნივერსიტეტის რექტორადო, თქვენ რა მიპასუხებთ: „ახალგაზრდა, ენერგიით სავსე კაცი ხარ და შენ უნდა ჩაუდგე სათავეში ახმეტის სახალხო უნივერსიტეტს“. ახლა კი ცილს მშაშობთ, რომ ვითომ თავმჯდომებით „ვიბრძოდით“ რექტორობისათვის. მე არც ლექსებს ვეითხულობ და არც სასწავლო პროგრამებს ვაღვებ, ჩემი ხელმძღვანელობა ძირითადად ორგანიზაციული საკითხების მოგვარებით განისხვავდება, ლექსებს კი კითხულობენ შესაბამისი სპეციალისტები, მეცნიერებათა კანდიდატები. ბატონ ნუგზარ, თქვენ არ დამავალეთ, მომინახა თქვენი კორექტივები და სასწრაფოდ გამოგვეკვეყნებინა გაზეთებში — „სახალხო განათლება“ და „ახალგაზრდა ივერიელი“ ახმეტის სახალხო უნივერსიტეტის გახსნის ამბავი, გამოგვეცადებინა მიღება? ალბათ ვესსამეძაბოთ, სასწრაფოდ რომ დაუკავშირდით სახალხო განათლების მინისტრს და მის მოადგილეს და ახლებურ უნივერსიტეტად გავაცანით ახმეტის სახალხო უნივერსიტეტი, თანაც მალევე დაითანხმეთ სამინისტროს შემადგენლობაში შესულიყავით, სასწრაფოდვე დაურეკეთ საქართველოს სახალხო უნივერსიტეტების უესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს პროფესორ დამიანე გოგონიას და აქვთ მოაგვარეთ საქმე, რომ ახმეტის სახალხო უნივერსიტეტი საქართველოს სახალხო უნივერსიტეტების რესპუბლიკური საბჭოს შემადგენლობაშიც შესულიყო. თქვენ აცხადებთ, რომ მე თვითნებურად გავზარდე სწავლის ქირა. ცდებით, ეს საკითხი თქვენთან იყო შეთანხმებული და რეგისტრირებული არის აღმასრულებელ კომიტეტში (1990 წელი, 20 ნოემბერი, ოქმი № 01).

თქვენ 1990 წლის 8 მაისს № 188 ოფიციალური წერილით მიმართეთ ახმეტის რაიონის ადგილობრივი ხელისუფლებას. აი, ეს წერილი:

„საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობა გთხოვთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის ახმეტის სახალხო უნივერსიტეტს დართოთ ნება განხილვის თვისთან არსებული მრავალპროფილიანი კოლეჯის და „კავკასიონი“.

თქვენ 1990 წლის 22 ივნისს № 197 ოფიციალური წერილით მიმართეთ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ნოდარ ამილახვარს. აი ეს წერილი:

„საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობა რეკომენდაციას უწევს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს, საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობისა და სახალხო უნივერსიტეტების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდენტის ახმეტის სახალხო უნივერსიტეტის რექტორს დიმიტრი სულთანის ძე ვარდოშვილს, რათა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დაუსრულებელ განყოფილებაზე სპეციალობით ქართული ენა და ლიტერატურა ჩაირიცხოს გასაუბრებელი“.

არ მაქმარეთ ერთი მიმართვა და იგივე შინაარსის წერილი მიწერილთ ამავე უნივერსიტეტის მიმღებ კომისიასაც. ისიც ხომ განსოვთ, მე და პროფესორი საბაგიო სიგელით რომ დავაგვიღოვეთ უნივერსიტეტის დაარსებასა და მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის. ახლა კი ცილს გვჭამებთ, რომ ვითომ ჩვენ თქვენთან დამოუკიდებლად ვმოქმედებდით.

„ახალგაზრდა ივერიელი“ გამოკვეყნებულ წერილში თქვენ აღნიშნავთ, რომ თითქოსდა მიმდინარე წლის იანვარში გააუქმეთ სახალხო უნივერსიტეტი და ამის შესახებ მეც მაცნობდით. სრული მასშტაბის მუშაობით ვაცხადებ, რომ ამგვარი არაფერი ყოფილა. ასე რომ ყოფილიყო, თქვენ მაშინვე უნდა გავაუქმებინათ უნივერსიტეტის მიმდინარე ანგარიში, რომელიც თქვენი ხელმოწერითაა განხილი საქართველოს ბინსოცბაის ახმეტის განყოფილებაში.

ბატონ თავმჯდომარე! მოსკოვში რომ გამაგზავნეთ მიუღიანებაში „ცოდნის ხაზით“, იქ ხომ მხოლოდ პროფესორები და აკადემიკოსები იღებდნენ მონაწილეობას. თუ „ცოდნის“ და „მეტყუარა“ ვიყავი, არ გეშინოდით იქაც რომ გამოემეღებებინა ჩემი „ნაკოვანებები“, იქნებ მოგატყუეთ აკადემიკოსი ვარა?

არსებული სახალხო უნივერსიტეტი, როგორც დაინახეთ, თქვენი ხელშეწყობითაა დაარსებული (ამისათვის მაღლობა), მაგრამ რაც შეეხება იმას, თუ უნივერსიტეტი „შესვეურები“ (როგორც თქვენ წერთ), რას ითხოვენ, მომავლის რა გეგმები აქვთ, ეს თქვენი კომპეტენცია არ არის.

საქართველოს რესპუბლიკაში გამოვიდა დებულება ფასიანი სწავლებაზე. თუ დაგეგმავდით მის მოთხოვნებს ჩვენი მონაცემები, დავკრთავდით უფლებას შესაბამის ინსტანციაში გავიაროთ რეგისტრაცია. ეს ჩვენი უფლებაა.

საქართველოს რესპუბლიკის ასოციაციის „ფალავანი“ დამოუკიდებელი უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას 1991/92 სასწავლო წლისათვის, შემდეგ ხუციალობებზე:

1. სპორტული უნივერსიტეტი;
2. ტელერადიო უნივერსიტეტი, კომენტატორი;
3. გიდი;
4. სპორტის მენეჯერი;
5. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობათა მენეჯერი;
6. საკურორტო და ტურისტული საქმიანობის მენეჯერი;
7. სამკურნალო ფიზკულტურა და რეაბილიტაცია;
8. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტებზე ტექნიკური აღჭურვილობათა ექსპლუატაციისა და რემონტის სპეციალობებზე 5000 მანეთი.

9. ძიუდო;
10. კარატე;
11. ბეიძულ-რომაული;
12. თავისუფალი ჯიდაობა;
13. სამკურნალო ფიზკულტურა და რეაბილიტაციის სპეციალობაზე — 7000 მანეთი.

სწავლების ფორმის სტუდენტებს, 111 კურსიდან, ასოციაციის ფონდიდან დაენიშნებათ სტიპენდია 150 მანეთის ოდენობით, ხოლო ბოლო კურსზე გათავისუფლებიან სწავლების ქირის გადასახადიდან.

უნივერსიტეტში შეღავათებით მიიღებიან: უფასო სწავლებაზე — ა) განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული აბიტურიენტები; ბ) სპორტისა და ტურიზმის ქვეკომისიის ან შესაბამისი სამინისტროს რეკომენდაციით შემოსული მაღალი კლასის აბიტურიენტ-სპორტსმენები.

სწავლების ქირის 50%-ის დაკლება — ასოციაციის და მასში შემავალი ორგანიზაციების და უწყებების წევრი — აბიტურიენტები.

სწავლების საფასურის გადახდა შეიძლება ინდივიდუალურად, ნაწილი ანგარიშსწორებით ან საწარმოებისა და ორგანიზაციების და სხვა იურიდიული პირების მიერ გადაირიცხოს წესით.

მაღალკვალიფიკაციური ეროვნული სპეციალისტების მომზადების მიზნით უნივერსიტეტს შეიძლება კავშირი ექნება საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამისი პროფილის უნივერსიტეტებსა და უმაღლესი სსსწავლებლებთან.

სწავლებაში მონაწილეობისათვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ექსპლუატაცია და რემონტის სპეციალობაზე — ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ფიზიკა;


— კარატე, ძიუდო, ბერძნულ-რომაული თავისუფალი ჯიდაობის, სამაშველო სამსახურის, ცხენოსნობის, სამთო და საწყაოსნო ტურიზმისა და ნადირობის ინსტრუქტორის სპეციალობებზე — ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია და სპეციალობა.

სწავლების ხანგრძლივობა: — სამკურნალო ფიზკულტურასა და რეაბილიტაციის, აგრეთვე სპორტულ-გამაჯანსაღებელი დასწავლებლების ტექნიკური აღჭურვილობათა ექსპლუატაციისა და რემონტის სპეციალობაზე — 5 წელი;

— დანარჩენ ზემოთ ჩამოთვლილ სპეციალობებზე კი — 4 წელი.

უნივერსიტეტში სწავლა ფასიანია. სწავლების ღირებულება წელიწადში შეადგენს: — გილის, აღმოსავლური ორთაბრძოლების (ძიუდო, კარატე), სამაშველო სამსახურის, ცხენოსნობის, სამთო და საწყაოსნო ტურიზმის, თევზაობისა და ნადირობის ტელ: 95-46-65; 95-21-43.

ინსტრუქტორის სპეციალობებზე 4000 მანეთს. — სპორტული უნივერსიტეტის, ტელერადიო უნივერსიტეტის, კომენტატორის, სპორტული მენეჯერის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობათა მენეჯერის, საკურორტო და ტურისტული საქმიანობების მენეჯერის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტებზე ტექნიკური აღჭურვილობათა ექსპლუატაციისა და რემონტის სპეციალობებზე 5000 მანეთი. — სამკურნალო ფიზკულტურა და რეაბილიტაციის სპეციალობაზე — 7000 მანეთი.



სხვა განხილვები

კიდევ იცვლება ფული?

ჩვენი რედაქციის ერთ-ერთი სამსარტულიანი სახლის სხვენში, ფრონტონთან, ერთ ყვავს „ბინა“ მოუწყვია. ახლახან, როგორც ამას „ტრუდის“ (№ 174) ჩვენი რედაქციის კორესპონდენტი იუწყება, ყვავს „ბინის“ დალაგება გადაუწყვეტია. სწორედ ამ დროს გზად მიდიოდა მოქალაქე, რომელსაც ზედ ცხვირზე დაეცა ზემოდან ჩამოვარდნილი მონეტა, შემდეგ კი მიწაზე ჩხრიალით დაცვივდა ნარინარი ხურდაფული. მოქალაქე მთელი ხურდა მთავრობა, დათვალა და აღმოაჩინა, რომ ხელს ჰქონდა 6 კაპიანი, 9 ორკაპიანი, 28 სამკაპიანი, ორ-ორი ხუთ და ათკაპიანი, ამის გარდა „დასახლის“ ყვავუნამ მიწის დანარჩენი სამი ჭარბისკაცის ფარაჯის დიდი და საავტომობილო ჭარბების ერთი ემბლემა.

თუ რატომ გადაწყვიტა ყვავუნა თავის „კაპიტალთან“ გამოთხოვება, ბოლომდე საიდუმლოდ დარჩა. იქნებ იმიტომ, რომ იმ ფულით, მან რომ მოაგროვო, დღეს ყველა ერთ ნაჭერსაც ვერ იყიდო (ანდა სადა არის ყველი?), ან იქნებ ყვავუნამ ამით ნიშნის მოგვცა — ფული კიდევ იცვლება და საქმეს მიხედოთ?..

მოძიეთ ღვიძივალთ

კაცობრიობის ისტორიაში მოსახლეობის პირველი აღწერა 1370 წელს ჩინეთში ჩატარებულია. მშენი, თურმე, ეს ქვეყანა „მხოლოდ“ 60 მილიონ ადამიანს ითვლიდა.

გასული წლის აღწერის მონაცემებით ჩინეთში უკვე 1 მილიარდ 100 მილიონი ადამიანია რეგისტრირებული, — იტყობინება ბულგარული „ოტენესტვენ ვესტნიკი“.

ქვენი პროგრამა საქინეალებში

კლენტენის ავეჯის ფაბრიკამ ათვისა ელექტრონული მოწყობილობებით დამონტაჟებული საინებელი გარნიტური.

ბინიკომპიუტერს, საწოლის ერთ-ერთ ტუმბარში რომაა მოთავსებული, ბინის მოწყობილობების ავტომატური ჩართვა-გამორთვის ექვსი სხვადასხვა პროგრამა შეგიძლიათ მიწოდოთ. კერძოდ, მას შეუძლია, სახლის პატრონის მიერ წინასწარ განსაზღვრული დროისათვის ჩართოს ან გამოართოს ტელევიზორი, მაცივარი, ნიშანი მიცეს მდიდობას, ანთოს სინათლე. ერთი სიტყვით, ამტყვებს „პრავდის“ (№ 179) ბრინსკელი კორესპონდენტი, აღნიშნული საინებელი გარნიტური თქვენ არა მარტო თანს საფიქრალისგან გაათავისუფლებთ, არამედ იმის გარანტიას მოგცემთ, რომ არაფერი დაგაიწყდებათ და არც არსად დაგაგვიანდებათ, მოკლედ გარნიტურიც ამას ჰქვია...

სპორტი და კვლევა უკლიერისი უპროპაუი

მორიგი ბრწყინვალე წარმატება მოიპოვეს საერთაშორისო ასპირანტურ ქართველმა მკვლევარდელეებმა. ნორვეგიის ქალაქ ფრედრიკსტადში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი პროფესიონალებსა და მოყვარულებს შორის, რომელიც მოაწყო პროფესიული მკვლევარების მსოფლიო ფედერაციამ. ამ ასპირანტურებში საქართველოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ ცალკე გუნდად, გამალოდნენ საქართველოს ეროვნული დროშით. პირად ჩათვალა მათ მინიპოვეს 5 ოქროსა და 4 ვერცხლის მედალი, აგრეთვე, გუნდური პირველობა.

სანთელ-საკაველი თავის გზას არ დაჰკარგავს

რამდენიმე წლის წინათ მეგობარი მომიყვა ამბავს თავისი ნათესავი ბიჭისა, რომელსაც, განხვავებული აზრების გამო, ე. წ. უძრავობის პერიოდში მანქანა დააჯახეს, ხოლო შემდეგ კი იგი ტყვეში იპოვეს მკვლარი. ამ ნოველას ვუძღვნი უველას, ვინც თავი შესწირა საქართველოს კეთილდღეობისათვის ბრძოლას.

ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭი იყო. ძველ უბანში ცხოვრობდა, სკოლაში გამორჩეული მოსწავლე არ ყოფილა, თავისი ინტერესები ჰქონდა. სულ იმის ცდაში იყო, ახალი რამ გაეგონა. არ შეეძლო წყნარი ცხოვრება. მე საცოლოში-ლე კაცი არ ვარო, იტყვოდა ხან-ღამს. ჯინსის შარვლით დადიოდა ქუჩაშიც და ქორწილშიც. კითხვა უყვარდა, თვითონაც წერდა. უკვირდა, მასწავლებლის ნათქვამი უმეტესად ტყუილი რომ იყო... არ უნდოდა, დაეჭვებინა, რომ მისი კერძი წითელი არმია საქართველოს დამპყრობელი არმია იყო. იხსენებდა, თუ როგორ ატარებდა ბიჭის ნაწილს სამხედრო ქუჩას, როგორი გამეტებით „ესროდა“ თოფს ომობანას თამაშის დროს „სოციალიზმის მტრებს“, ესიზმრებოდა, თითქოს გერმანელებს ებრძვის.

როცა წამოიზარდა, სხვანაირი თვალთ შეხედა ქვეყანას. დაინახა, რა დღეში იყო ხალხი, როგორ დამსგავსებოდა იგი ცხვრის ფარას, რომელიც საითაც უნდოდა, იქით გარეკავდა მწყემსი. დაინახა, რომ ხალხი უფსკრულში იხეხებოდა; დაინახა, როგორ ტყუოდნენ მისი თანატოლები, როგორ

მოუწოდებდნენ მამები შვილებს საავტოლო გზაზე ეარათ, როგორ უნერგავდნენ ადამიანებისადმი სიძულვილს. ვერ იტანდა ყალბ პარტიციპას, რომლითაც სტუდენტები ლექტორს ეგებებოდნენ, ვერ იტანდა კომკავშირის მდივნის პათეტიკურ ხმას...

ერთ დღეს მეზობელი მღვდელი გარდაიცვალა. ისე წაიყვანა სასწრაფომ, რომ ერთი ცრემლიც არ წაჰყარა თან უბედურს. ბიჭს ცნობისმოყვარეობამ წაძლია და შევიდა მის ოთახში. ოთახი სადა იყო, მაგიდაზე პური და წყალი იდგა. ლოგინზე კი წიგნი იდო. „ახალი აღთქმა“ — წაიკითხა ბიჭმა. ფეხის ხმა მოესმა. წიგნი უბეში ჩაიღო და უხმოდ წავიდა სახლისაკენ.

მეორე დღეს პირველი პროტესტი გამოთქვა საჭაროდ, პარტიტორიის ლექციაზე. ჩვეულებრივი გაირინდა. ლექტორს ჯერ ენა დაემა, მერე გარეთ გაეარდა. ერთი საათის შემდეგ ბიჭი რექტორის კაბინეტში იქნა და ცრუ დარიგებებს ისმენდა. ბოლოს უთხრეს, ეს პირველი და უკანასკნელი იყო, თორემ...
შეშფოთებულები დაბრუნდნენ შინ. მათთვის სამსა-

ხურში ეცნობებინათ შვილის საქციელის შესახებ. დედა ტირიდა, მამა ხელეხს იფშენებდა. ბოლოს შვილთან მივიდა და მოულოდნელად ვაკაცობა შეუქო.

ამის შემდეგ ბევრჯერ გამოხატა პროტესტი უსამართლობის წინააღმდეგ. გავიდა ერთი თვე, თათქმის ყველა გაურბოდა ბიჭთან შეხვედრას, ბიჭიც გრძობდა სიმარტოვეს, მაგრამ გადწყვეტილი ჰქონდა, ერთხელ არჩეული გზისთვის არასოდეს ეღალატა. ყოველ საღამოს კითხულობდა ლოცვას და შეეძას გრძობდა.

ერთ საღამოს ჩაფიქრებული ბრუნდებოდა სახლში. ქუჩაში არავინ იყო, მის წინ შავი მანქანა გაჩერდა. ტყავის ქურთუკიანი ოთხი კაცი გადმოვიდა მანქანიდან. ერთი ბიჭს მიუახლოვდა და სახში დაარტყა. ბიჭი ფიზიკურად სუსტი იყო და წაიქცა. გონზე მანქანაში მოვიდა. მანქანა უკავრელი აღგილისკენ მიემართებოდა. ბიჭმა ერთი დივიზინა და...

სამი დღის შემდეგ საღამოს გახვებში მეგობრები იუწყებოდნენ, რომ ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა მათი თანაკლასელი. გასვენებაზე ცოტა ხალხი მოვიდა. ყველა გრძობდა, რომ ბიჭი ავტოკატასტროფის მსხვერპლი არ იყო, მაგრამ ხმას ვერავინ იღებდა. კუბო მიწაში უნდა ჩაესვენებინათ, როდესაც საფლავზე უჩვეულო ნათელი დაეშვა და შემოსა სიმართლისათვის მეგრძობი უმანკო არსება.

ცოტა ხანში ქალაქს აღარ ახსოვდა ბიჭის ამბავი. მაგრამ სანთელ-საკაველი თავის გზას არ დაკარგავს.

ვედრება ყოვლად-წმიდა ღვთისმშობლისადმი

ნათლის — მშობელო, ივერიის მფარველო ღმერთო, გადიდებო მზეზე უბრწყინვალესს და გავედრებო, ყველა კირთაგან დაიფარე ჩვენი ქვეყანა. იმედი ჩვენი უკვდავების რწმენით სავსეა, არ მოგვაკლდება სიხარული და სასოება, ვიდრე შენ ჰფარავ საქართველოს, ყოვლად-წმიდაო. აღამაღლე გონება ჩვენი ზეციური მამულისადმი, რათა წარმავლის დამტყვებელთა ვიფიქროთ წარუვალებე, მოგვეცე ძალი შეწვევისა, მოთმინებისა და სიყვარულისა

„ყოველთა ქმნულთა ნათელთა უბრწყინვალესო ნათელთა... ყოველთა ქმნულთა სამკალთა უმშვენიერესო სამკალთა“, — გამოაფინებლე გონება ჩვენი, განასპეტაკე სული ჩვენი, შენ გმევენის დიდება სამარადისო, ლოცვის მადლით უბრწყინვალად აყვავილებულთ.

ასულნი ჩვენი კვლავ შემოსე მალალი სულით, პატიოსნებით, ერთგულებით, სიწმინდით, რწმენით, მამულისათვის თავდადებით, მზიურ ხილვებით, რათა მოილონ მათ ტვეანნი

ქანსალ ვენახის. ქაბუჩნი ჩვენი აზიარე ქრისტეს მცნებათა, ჯვარის მტვირთველნი მიჰყვებოდნენ უკვდავების გზას, წინაპართაგან ანთებული წმიდა ლამპარი, რომ არ ჩაუქრეთ და არ დარჩნენ ბნელში უმწეოლ.

...ო, გვედრებოთ მოკრძალებით და სასოებით, ლობიერებით, წმიდა ცრემლთა უხვად მფრქვეველნი; ვედრება ჩვენი შესივნიე სახიერებით და სიხარულად გარდასცვალე წუხილი ჩვენი.

შთავარებისკომისიის თადეოზ (იორაგაშვილი) 1978 წ.

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხვით ხტიქიით დაზარალებულთა ფონდში.

სანთელ-საკაველი თავის გზას არ დაჰკარგავს

საბროკერო ფირმა „იკორთა“

ფირმა „იკორთა“ ვთავაზობთ კომფორტაბელური ავტობუსებით გადაყვანას თურქეთში, ტრაპიზონსა და სტამბოლში, მათთვის, ვისაც გაინათ კერძო მოწვევები თურქეთის რესპუბლიკიდან.

ჩვენი მომსახურების ხარისხი ბევრად მაღალია, თუმცა ფასი, სხვებთან შედარებით ბევრად ნაკლები, მისადგომად ხელსაყრელ, მოხერხებულ ადგილზე მდებარეობს.

მისამართი: გამსახურდიას გამზირი № 3/7.

ტელეფონი: 36-77-72.

გულშობოთ ყოველდღე 11⁰⁰ საათიდან 18⁰⁰ საათამდე. დასვენების დღე — ორშაბათი.

საბროკერო ფირმა „იკორთა“

გთავაზობთ მომსახურებას ყიდვა-გაყიდვის საქმიანი ბარიზებების დადგარში

თბილისის უნივერსალურ ბირჟაზე

თუკი თქვენი წარმოება-ორგანიზაცია ეძებს მასალების ბაზრებს, ნედლეულის შექმნის შესაძლებლობებს, სურს გაყიდოს, ან იყიდოს პროდუქცია დიდი პარტიებით და ხელსაყრელ ფასებში, იმოქმედეთ ჩვენი ფირმის მეშვეობით.

საშენი მასალები, საწვავი, ლითონი და ლითონის ნაწარმი, ხე-ტყე, ქაღალდი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ელექტრო-საქონელი, ტექნოლოგიური ხაზები, სხვადასხვა დანადგარები, მინი ქარხნები, ტრანსპორტი, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი და ა.შ. — ჩვენ დაგეხმარებით ყოველივეს ყიდვა-გაყიდვაში.

ტელეფონი ცნობებისათვის: **38-01-25.**

თბილისის თბომურნობის სამართველოს ექსპერიმენტალური მექანიკური ქარხანა სამშუამომდ იწვევს შემდეგი სპეციალობის მუშებს:

1. ზენიკალი;
2. ელ. შემდულებელი;
3. გაზომურელი;
4. ხარატი;
5. დამხმარე მუშები.

აღნიშნული მუშების თვითური ხელფასი საშუალოდ შეადგენს 450-550 მანეთს.

მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზ. 38^ა (ყოფილი პავლოვის ქუჩა), ინტურისტების გარაიის უკან. ცნობებისათვის ტელ: 39-86-31.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მიმდინარეობს მიღება ქ. თბილისის გლდანის რაიონის № 12 სახლმართველობასთან არსებულ მსუბუქი ავტომანქანების მძღოლთა მოსამზადებელ კურსებზე (კურსდამთავრებულნი მიიღებენ მძღოლის საერთაშორისო მოწმობას).

პირველ რიგში ჩაირიცხებიან და შემცირებულ გადასახლს გადაიხდინან ის პირები, რომლებმაც იციან ავტომანქანის პრაქტიკული მართვა. საბუთების შემოტანა და განმარტებისათვის ტელეფონზე დარეკვა შეიძლება ყოველ დღე, გარდა უქმე დღეებისა, საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, გლდანის მე-3 მიკრო რაიონი, კორპუსი 74-ა.

ტელეფონი: 68-39-30.

იყიდება

ზილ-130.
ტელ: 12-94-87, რუსთავედი.
იკითხეთ ზაზა.

კომერციულ კოაპერატიულ ფირმა „იბრიტა-80“ს სასწრაფოდ ესაჭიროება მთავარი ბუღალტერი ქალი 35 წლამდე.
ტელ: 34-36-87.

გ ა მ ი რ ა ვ ე ბ ა

34 მ ი რ ა ვ ე ბ ა
54 კვ. მ. ფართის (18+36). მდებარე იყალთოს ქ. 57^ა-ში. (შესასვლელი ბაზტირონის ქ. №10 და №12-ს შორის).
ტელ. 37-16-38.

30 მ ი რ ა ვ ე ბ ა
ერთოთახიანი იზოლირებულ ბინას თბილისის ცენტრალურ რაიონებში.
დარეკეთ: 74-59-66 დილის და საღამოს საათებში.

ხალგაზრდა ქვერიული
Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 93-97-91; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 93-90-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მისაღები ავტორებს უკან არ უბრუნდება.

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა „ხაშობლოს“ სტამბა თბილისი, 3. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წიხით საგაზეთო კორპუსში სომარაულას 29, 1, 2, 3, 4, 5, 6, 2, 4, 2, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 66400

რედაქტორი **მერაბ ბალარაშვილი**

რედაქციის მისამართი ქ. თბილისი — 380096 3. კოსტავას ქ. № 14.